დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2022 წლის 14 სექტემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/02/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016314) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. **დადგენილების მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება და დაემატოს „ი[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების (დებულება) დამტკიცების და მასში ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადებების და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებას“.

2. **დადგენილების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და დაემატოს „თ[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების

სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წინადადებების და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებას“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის პაატა

საკრებულოს თავმჯდომარე ყულიაშვილი